ორიათას თორმეტი წლის თორმეტ ივლისს მე, ნოტარიუსს მაია წიკლაურს, ნემს სანოტარო ბიუროში, რომლის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი აკ. წერეთლის გამზირი №55, მომმართა მოქალაქე **ვახტანგ ლაშხმა**, შემდგომში მარწმუნებლად წოდებულმა, განცხადა, რომ არის შ.პ.ს. „მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი“-ს დირექტორი და მოითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება. მე, დავადგინე მარწმუნებლის უფლებამოსილება /თანახმად ამონაწერის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირების რეესტრიდან, განაცხადის ნომერი: 507788, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B12084564, ამონაწერის მომზადების თარიღი 03/07/2012, 15:45:28, შ.პ.ს–ს იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს ქ. №7. ბ. 13, ს.კ. 202059725, რეგისტრაციის თარიღი 06/07/1998, სახელმწიფო რეგისტრაციის №2/4-1743/, ქმედუნარიანობა, პირადობა, ნების გამოხატვის ნამდვილობა და ვინაიდან ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა დავამოწმე სანოტარო აქტი. მას ახსნა განეუმარტე, რომ ამ აქტით წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ქარწყლდება ვადის გასვლით, უფლებამოსილი პირის უარით, უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალებით, უფლებამოსილების გაუქმებით გამცემი პირის მიერ, უფლებამოსილების შესრულებით. მარწმუნებელმა წაიკითხა მინდობილობა, მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი ნოტარიუსის თანდასწრებით მოაწერა ხელი.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თორმეტი წლის თორმეტ ივლისს მე, ქვემორე ხელისმომწერი **ვახტანგ ლაშხი**, დაბადებული 11.10.1965 წელს თბილისში, მცხოვრები: თბილისი, საბურთალოს ქ. №7, ბ. 13-ში, მისი პირადობა დადგენილია წარმოდგენილი მოქალაქის პირადობის მოწმობით №გ0984844, პირადი №01009005931, გაცემული 21.09.2006 წელს ხრს საბურთალოს სამსახურის მიერ, როგორც შ.პ.ს. „მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი“-ს დირექტორი, შემდგომში "მარწმუნებლად" წოდებული, ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ **არჩილი ნარეკლიშვილს**, დაბადებულს 23.05.1985 წელს თელავში, მცხოვრებს თელავი, ახალუდიანის ქ. №26-ში, /მისი პირადი №20001018286/, შემდგომში "რწმუნებულად" წოდებულს, იყოს ჩემი, როგორც შ.პ.ს. „მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი“-ს წარმომადგენელი ყველა დაწესებულება ორგანიზაციაში, იურიდიულ ან ფიზიკურ პირებთან, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ქ. თბილისის მერიაში და მის სამსახურებში, ზედამხედველობის სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, ნებისმიერ ბანკში, შეუზღუდავად აწარმოოს ჩემი სახელით საქმეები, შეაგროვოს, წარადგინოს და მიიღოს ცნობები, დოკუმენტები, აზომვითი ნახაზები, პროექტები, მშენებლობის ნებართვა, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, გადაიხადოს სახელმწიფო მოსაკრებლები, დადოს გარიგებები სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად, შეიტანოს ყველა სახის განცხადება და მოაწეროს ხელი ჩემი სახელით საჭიროებისამებრ სათანადო დოკუმენტაციას, რაც დაკავშირებული იქნება შპს-ს სახელით სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და საპროექტო სამუშაოების შესრულებასთან.

რწმუნებული უფლებამოსილია ისარგებლოს იმ უფლებებითა და მოვალეობებით, რაც მონიჭებული მაქვს მე, როგორც შპს-ს დირექტორს ამავე შპს-ს წესდებით და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც პირდაპირ მითითებულია ან არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ საჭიროდებულია ამ მინდობილობით დადგენილი დავალების შესახრულებლად.

რწმუნებულის მიერ შესრულებული მოქმედებები და მიღებული გადაწყვეტილებები ამ მინდობილობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში ჩემს მიერ იქნება მოწონებული და უდავო.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

გადახდილია სახელმწიფო თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების №507, 29.12.2011წ. „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ მუხ. 31, პ. 7-ით 10 ლ, მუხ. 39, პ. 1-ით 2 ლარი, სულ 12 ლ 00 თ.

ეს მინდობილობა შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს ხელზე.

რწმუნებულებას დანართად ერთვის ოქმი კრების მიმდინარეობისა და გადაწყვეტილების შესახებ, შედგენილი და დამოწმებული ნოტარიუსის მ. წიკლაურის მიერ 12.07.2012წ. რეესტრით №120734960, ხოლო რწმუნებულების დამოწმებისას გამოყენებული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირების რეესტრიდან, განაცხადის ნომერი: 507788, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B12084564, ამონაწერის მომზადების თარიღი 03/07/2012, 15:45:28 /ელექტრონული ასლი/ და შპს-ს წესდება (ასლი) დანართად ერთვის კრების მიმდინარეობისა და გადაწყვეტილების შესახებ ოქმს, შედგენილს და დამოწმებულს ნოტარიუსის მ. წიკლაურის მიერ 12.07.2012წ. რეესტრით №120734960, რომელიც ინახება სანოტარო ბიუროს არქივში.

[illegible]

ნოტარიუსი

НОТАРИУС МАИА ЦИКЛАУРИ
NOTARY MAIA TSIKLAURI
01009005288

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

28959419018312

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N120735039

რეგისტრაციის თარიღი

12.07.2012 წ

ნოტარიუსი: მაია წიკლაური
მისამართი: ქ. თბილისი წერეთლის 55
ტელეფონი: 2 35-21-19

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18